

## გილოცავთ საუნივერსიტეტო ცხოვრების დაწყებას!

გისურვებთ წინსვლას, ახალ-ახალ მიღწევებს, ნაყოფიერად გამოგეყენებით სტუდენტური წლები, რათა ჩამოყალიბდეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და გაამართლოთ ქვეყნის, უნივერსიტეტისა და მშობლების იმედები.

მოკლედ გაგაცნობთ იმ რეკომენდაციებსა და პროექტებს, რომლებიც დაგეხმარებათ სწრაფად ადაპტირებაში:

- 2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრი იწყება 8 ოქტომბერს და მოიცავს 20 კვირას. აქედან 15 კვირა არის სასწავლო (სააუდიტორიო მეცადინეობები), ერთი კვირა ეთმობა შუასემესტრულ გამოცდას (მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი - 7,5), მე-17 კვირა – პროექტების და ლაბორატორიული სამუშაოების ჩაბარებას და/ან დასკვნითი გამოცდისათვის მზადებას, სამი კვირა – სესიებს (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები. მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური - 10). დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელია სემესტრის განმავლობაში არანაკლებ მინიმალური (მიმდინარე აქტივობის 15, შუასემესტრული გამოცდის 7,5) ქულების დაგროვება. თითოეული სასწავლო კურსი ჩაითვლება ჩაბარებულად არანაკლებ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. **გთხოვთ არ გაცდინოთ ლექცია-სემინარები, სრულფასოვნად ჩაერთეთ სასწავლო პროცესში, რათა არ დაკარგოთ მიმდინარე აქტივობის შეფასებები (მაქს. 30, მინ. - 15);**
- წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სახელმწიფო სტიპენდია თვეში 150 ლარის ოდენობით;
- დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 200 ლარით;
- სავალდებულოა ფინანსური ხელშეკრულების დადგენილ ვადაში შესრულება, რათა არ შეგიჩერდეთ სტუდენტის სტატუსი;
- სწავლის პერიოდში გექნებათ საშუალება მიიღოთ მონაწილეობა როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში, ვორქ-შოფებში, რაშიც ფინანსურ მხარდაჭერას გაგიწევთ ფაკულტეტი;
- წარჩინებულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ იმ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რომლებშიც ჩართულია სტუ;
- სწავლების მე-4 წლის სტუდენტებს ექნებათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რომ გაიარონ პრაქტიკა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი;
- სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი შემოგთავაზებთ საინტერესო სტუდენტურ სერვისებს – მათ შორის ექსკურსიებს, უნივერსიტეტში მოქმედ სხვადასხვა წრეებს, როგორც სპორტული, ასევე გასართობი და შემეცნებითი ხასიათის შეჯიბრებებს და ა. შ.;
- ფაკულტეტი იზრუნებს, დაასაქმოს საუკეთესო აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულები;
- უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვაც სავალდებულოა;
- სავალდებულოა ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ახალი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო ყოველი სემესტრის შემდეგ – მიღწეული შედეგების გაცნობა;
- ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება საუკეთესო სტუდენტური პროექტები;
- პერიოდულად ჩატარდება საჯარო ლექციები საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორების მიერ;
- სწავლის პერიოდში თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

გისურვებთ წარმატებებს!